ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ24.24211043**

თარიღი:**14/04/2021**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალურ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ", საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი", საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №31 დადგენილების „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" და ნ. სხულუხიას 2021 წლის 13 აპრილის N02-2421103252 წერილის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში სოციალურ მუშაობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის - [redacted].
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (http://zugdidi.mun.gov.ge/) გამოქვეყნება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03,
ელ.ფოსტა: info@zugdidi.gov.ge

ფუნქციები (მოვალეობები)
• ახორციელებს პირის მდგომარეობის შეფასებას საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით; • პირის დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ახორციელებს ვიზიტს ოჯახში/პირის განთავსების ადგილზე; • საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტულ დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთანებებთან და სხვა თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს პირის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე; • თუ სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ მდგომარეობას, იგი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს (გადაუდებელია მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მოსდევნო 24 საათის განმავლობაში); • ასრულებს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსისა და მერის სხვა დავალებებს.

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა;
- გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერების პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა;
- მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა;
- სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა;
- ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა;
- სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა ;
- დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში";
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა;
- სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა.